

□ რეგ. № _____
(ივსება განაწილების ლიცენზიატის მიერ)

თარიღი: _____

დამტკიცებულია
საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის 2011 წლის 22 ნოემბრის
N30/1 გადაწყვეტილებით

განაცხადი

„საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის შესახებ“

განმცხადებლის საყურადღებოდ!

განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს აღნიშნული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

თუ აღნიშნული განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას განაცხადის რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის მითითებით, განმცხადებელმა, პირველ რიგში, უნდა მიმართოს განაწილების ლიცენზიატს ცხელი ხაზის მეშვეობით და მოითხოვოს შესაბამისი მონაცემები. პრობლემური საკითხის დაუყოვნებლივ მოუგვარებლობის შემთხვევაში, განმცხადებელი უფლებამოსილია, დარღვევაზე შემდგომი რეაგირების მიზნით, მიმართოს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს (ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქუჩა №19; ტელ.: (+995 322) 2 42 01 90).

განაცხადის ტიპური ფორმა მომზადებულია იმგვარად რომ კომპანიამ მომხმარებლის მოთხოვნა შეასრულოს ერთი განაცხადით. განაცხადის ფორმა უნდა შეიცვას სრულად, ხოლო თუ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს სრულფასოვნად განაცხადის რომელიმე ველს, ნიშნავს, რომ დოკუმენტაცია არ არის საკმარისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და შესაძლებელია გამოიწვიოს არასასურველი შედეგი.

განაცხადის შევსების თარიღი „_____“ _____, 20___წ.

I. ძირითადი ინფორმაცია

1. განცხადების ადრესატი:

_____;

(იმ განაწილების ლიცენზიატის დასახელება, რომლის ქსელზეც მოთხოვნილია სამუშაოები)

2. განმცხადებელი: _____;

(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელი (სახელწოდება))

3. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი: _____;

4. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

4.1. მისამართი: _____;

4.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე ან ელექტრონულ მისამართზე¹:

¹ მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) მიღებული შეტყობინების განმეორებით გაგზავნა: _____ ნომერზე „111“ სიმბოლოს გაგზავნით, ასევე ცხელი ხაზის მეშვეობით ან წერილობითი ფორმით;

ბ) ნომრისა და ელექტრონული მისამართის შეცვლა: _____ ნომერზე იმ ახალი ნომრიდან რომლის რეგისტრაციაც სურს მომხმარებელს შემდეგი კომპინაციის გაგზავნით: 222#აბონენტის ნომერი, ხოლო ელექტრონული მისამართის შეცვლის შემთხვევაში 222#აბონენტის ნომერი#ახალი ელექტრონული მისამართი; ასევე, ცხელი ხაზის მეშვეობით ან წერილობითი ფორმით;

გ) ელექტრონული ქვითრის გაგზავნა – განაწილების ლიცენზიატის მიერ წინასწარ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე/ნომერზე „333“ სიმბოლოს გაგზავნით.

დ) ტექსტური შეტყობინების შინაარსის დაზუსტება ან/და განმარტება – ცხელი ხაზის მეშვეობით ან წერილობითი ფორმით.

| | | | |
|--|---|---------------|-----------------|
| <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> | (მობ. ნომერი) | - ძირითადი; |
| (მობ. ოპერატორი კოდი) | | | |
| <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> | (მობ. ნომერი) | - ალტერნატიული; |
| (მობ. ოპერატორი კოდი) | | | |
| ----- @ ----- | | | |
| (ელექტრონული ფოსტის მისამართი) | | | - ძირითადი; |
| ----- @ ----- | | | |
| (ელექტრონული ფოსტის მისამართი) | | | - ალტერნატიული. |

5. განაწილების ლიცენზიატის მიერ შეტყობინების გაგზავნის ფორმა:

წერილობითი; ელექტრონული.

6. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები:

_____;

7. აბონენტის N _____;

(სადაც უნდა მოხდეს სიმძლავრის გაზრდა)

8. ადგილი (მისამართი) სადაც უნდა მოხდეს მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდა:

_____;

9. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____;

10. აბონენტის ელ.მომარაგების ტექნიკური მახასიათებლები (არსებული ტექ.მახასიათებლები):

10.1. ძაბვის საფეხური: 0,4 კვ. (220ვ., 380ვ.) ან 6/10კვ; სიმძლავრე ____ კვტ;

10.2. საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო.

II. მოთხოვნა:

11. მოთხოვნილი (გაზრდის შედეგად) ელ.მომარაგების ტექნიკური მახასიათებლები:

11.1. ძაბვის საფეხური: 0,4 კვ. (220ვ., 380ვ.) ან 6 /10კვ; სიმძლავრე ----კვტ;

11.2. ელექტროენერგიის მოხმარების მიზანი: საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო.

11.3. არასაყოფაცხოვრებოს შემთხვევაში, საქმიანობა _____ ;

III. დამატებითი ინფორმაცია:

12. გესაჭიროებათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა: დიახ; ან არა.

13. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:

ა) გამოყენებულ იქნეს ელექტროენერგიის მომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: დიახ, ან არა;

ბ) მიეწოდოს ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში მომსახურე საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი: დიახ ან არა

1) _____; 2) _____ .

14. თანახმა ვარ, ქვითარი მივიღო ელექტრონული ფორმით ქვითრის მიწოდების შესახებ თანდართული შეთანხმების შესაბამისად: დიახ; არა; ან უკვე ვსარგებლობ ამ მომსახურებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

15. სიმძლავრის გაზრდისთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი .
საფასურის 50% ; ან 100 % ;
გადახდილი თანხა სიტყვიერად: _____ .
16. მონიშნეთ, თუ განმცხადებელი და აბონენტი სხვადასხვა პირია, უძრავი ქონების მესაკუთრის წერილობითი თანხმობა .
17. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში): _____
18. დანართი _____ გვერდი.

V. განაცხადის პირობები

ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ჩემ მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე დადგენილ საფასურს.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

სიმძლავრის გაზრდის მსურველთა საყურადღებოდ

❖ განაცხადი უნდა შეიქმნას სტანდარტული ფორმით.

❖ სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს სიმძლავრის გაზრდასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს და ხარჯს (სრული ტექნოლოგიური ციკლს), მათ შორის საჭირო საშუალებების შეძენას, საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს, მის შესრულებასთან დაკავშირებულ თანხმობის ან ნებართვის მოპოვებას და ყველა სახის საჭირო მოქმედებას და სამუშაოს (აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების ჩათვლით), რაც დაკავშირებულია მოთხოვნილი ტექნიკური პარამეტრებით ელექტროენერგიით მომარაგებასთან.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ ამონაწერი;

მუხლი 27. მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდა

1. მომხმარებელი ვალდებულია განაწილების ლიცენზიატს წინასწარ აცნობოს მის მიერ გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია, მიმართოს განაწილების ლიცენზიატს „საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის შესახებ“ განაცხადით (განაცხადი სტანდარტულ ფორმას გადაწყვეტილებით ამტკიცებს კომისია). აღნიშნული განაცხადის ფორმა ასევე გამოიყენება, როდესაც ადგილი აქვს მომხმარებლის მიერ უფრო მაღალი ძაბვის საფეხურზე გადასვლის (შეცვლის) მოთხოვნას.

2. „საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის შესახებ“ განაცხადის განხილვა და დამატებითი დეტალები უნდა განხორციელდეს იმავე წესითა და პირობებით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესების 26-ე და 261 მუხლებით, თუ ამ მუხლებით მომსახურების სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

3. მომხმარებელი ვალდებულია, ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის შესახებ განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის საფასურის 50%. დარჩენილი თანხის გადახდა მომხმარებლის მიერ უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ საფასურის გადახდის სხვა პირობებზე.

4. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, განაცხადის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადგინოს განაცხადის და მასში არსებული მოთხოვნის სრულყოფილება და განმცხადებელს დაუყოვნებლივ აცნობოს პასუხი, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ისე განაცხადში მითითებული საშუალებით – წერილობით ან ელექტრონულად. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, უარი უნდა იყოს დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი (მოთხოვნა) მიღებულია ჩაითვლება. განაცხადში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, მომხმარებელს დაუბრუნოს მის მიერ გადახდილი საფასური 10 სამუშაო დღის ვადაში, განაცხადში მითითებულ ანგარიშზე.

5. თუ 0,4 კვ (380/220ვ) და 6/10 კვ ძაბვის მომხმარებელი ელექტროენერჯის ფაქტობრივი მოხმარების სიმძლავრის გაზრდის ტექნიკური პირობით გათვალისწინებულ მისაერთებელ სიმძლავრეზე მეტით ისე, რომ საჭიროა მიერთების ტექნიკური პირობის შეცვლა ან/და ითხოვს მაღალი ძაბვის საფეხურზე გადასვლას (შეცვლას), ასეთ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატის მიერ უნდა მოხდეს ახალი ტექნიკური პირობის გაცემა და ამ მომხმარებლის ელექტრომომარაგების სისტემის მოწყობა (სრული ტექნოლოგიური ციკლით უზრუნველყოფა) ახალი ტექნიკური პირობის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის საფასური, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად:

ა) თუ გაზრდილი (მოთხოვნილი) სიმძლავრე ან/და მოთხოვნილი ძაბვის საფეხური გადადის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების სხვა შეთავაზებულ პაკეტში:

ა.ა) თუ გაზრდილი (მოთხოვნილი) სიმძლავრე გადადის ახალი მომხმარებლის მიერთების სხვა შეთავაზებულ პაკეტში, ამასთან, მომხმარებელი არ იცვლის ძაბვის საფეხურს - მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესაბამისი პაკეტის საფასური, რომელსაც აკლდება ახალი მომხმარებლის მიერთების იმ შეთავაზებულ პაკეტით განსაზღვრული საფასური, რომელიც შესაბამემა მომხმარებლის არსებული მიერთების ტექნიკური პირობით განსაზღვრული მიერთების სიმძლავრეს;

ა.ბ) თუ მომხმარებელი იცვლის მხოლოდ ძაბვის საფეხურს - მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს №6 დანართით დამტკიცებული იმ შეთავაზებული პაკეტის საფასური, რომელიც შესაბამემა მის მიერ მოთხოვნილი ძაბვის საფეხურსა და მისაერთებელ სიმძლავრეს.

ა.გ) თუ გაზრდილი (მოთხოვნილი) სიმძლავრე გადადის ახალი მომხმარებლის მიერთების სხვა შეთავაზებულ პაკეტში და მომხმარებელი იცვლის ძაბვის საფეხურს - მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს №4 დანართით დამტკიცებული იმ შეთავაზებული პაკეტის საფასური, რომელიც შესაბამემა მის მიერ მოთხოვნილი ძაბვის საფეხურსა და მისაერთებელ სიმძლავრეს;

ბ) თუ გაზრდილი (ან მოთხოვნილი) სიმძლავრე ან/და მოთხოვნილი ძაბვის საფეხური არ სცილდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების იმ შეთავაზებული პაკეტის ფარგლებს, რომელსაც შესაბამემა მომხმარებლის არსებული მიერთების ტექნიკური პირობით განსაზღვრული მისაერთებელი სიმძლავრე;

ბ.ა) მოთხოვნილი სიმძლავრის მისაწოდებლად საჭიროა განაწილების ლიცენზიატის მიერ ამ მომხმარებელთან დამაკავშირებელი ელექტრო ქსელისა და აღრიცხვის კვანძის რეკონსტრუქცია ან/და სხვა მოწყობილობების შექმნა, მშენებლობა და დამონტაჟება, მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, რომელიც იანგარიშება ყოველ კვტ-ზე, შესაბამისი მისაერთებელი შეთავაზებული პაკეტის საფასური გაყოფილი პაკეტის მაქსიმალურ სიმძლავრეზე და გამრავლებული მომხმარებლის მიერ დამატებით მოთხოვნილი კვტ-ებზე;

ბ.ბ) მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სიმძლავრის მიწოდება არ საჭიროებს მომხმარებელთან დამაკავშირებელი ელექტრო ქსელისა და აღრიცხვის კვანძის რეკონსტრუქციას ან/და სხვა მოწყობილობების შექმნას, მშენებლობას და დამონტაჟებას – მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდა არ ხდება (შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატის მიერ მიერთების ახალი ტექნიკური პირობა გაიცემა საფასურის გადახდის გარეშე).

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნა იმ ვადაში, რაც განსაზღვრულია ამ წესების, შესაბამისი №4 ან №6 დანართით გათვალისწინებულ შეთავაზებული პაკეტისათვის.

7. თუ მომხმარებლის მიერ მოთხოვნილია ისეთი სიმძლავრე, რომელზეც არ ვრცელდება სიმძლავრის გაზრდის საფასური, ასეთ შემთხვევაში, პროცესი უნდა განხორციელდეს იმავე წესითა და პირობებით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესების 261 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (როდესაც ხდება, ისეთი ახალი მომხმარებლის (მომხმარებლების) მიერთება, რომელზეც არ ვრცელდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური). მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ ხორციელდება ამ მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეკრის სამუშაოებზე გადახდილი უნდა იქნეს ამ წესების დანართით №6 განსაზღვრული „აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური“ შეთავაზებული პაკეტის მიხედვით.

7¹. ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის დასაშვები მოცულობების გაზრდის ან/და ძაბვის საფეხურის გაზრდის სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდის საფასური შემცირდება – განახევრდება.

8. თუ ადგილი აქვს ელექტროენერჯის ფაქტობრივი მოხმარების სიმძლავრის გაზრდის მოთხოვნას 6/10 კვ. ძაბვის საფეხურზე 501 კვტ. სიმძლავრეზე ნაკლები მისაერთებელი სიმძლავრით ან 35/110 კვ ძაბვის საფეხურზე 5001 კვტ. სიმძლავრეზე ნაკლები მისაერთებელი სიმძლავრით, ასეთი მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განმცხადებლის (სიმძლავრის გაზრდის მსურველის) ტექნიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ აშკარად შეუძლებელია უფრო დაბალი ძაბვის საფეხურზე აღრიცხვის კვანძის მოწყობა.

9. ელექტროენერჯის მოხმარების სიმძლავრის გაზრდა დასტურდება იმავე მეთოდის გამოყენებით, რომლითაც მოხდა გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობის შემუშავებისას მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრის განსაზღვრა.

